„მშვიდობა ღიმილით იწყება“

„მშვიდობა ღიმილით იწყება“

„მშვიდობა ღიმილით იწყება“

„მშვიდობა ღიმილით იწყება“




კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
მარჯანიშვილის ქ. №5
ტელ: **999987; 923920**
**iccn@iccn.ge**
www.iccn.ge



# 21 სექტემბერი
# მ შ ვ ი დ ო ბ ი ს
# საერთაშორისო დღეა

„მშვიდობა უბრალოდ შორეული მიზანი არაა, რომლისკენა
მივისწრაფით, არამედ თავად მშვიდობაა ამ მიზნის მისაღწევ
საშუალება“

*მარტინ ლუთერ კინგი*

## „მშვიდობა ღიმილით იწყება“

„მშვიდობას ვკარგავთ მაშინ, როცა გვავიწყდება, რომ ერთმანეთს ვეკუთვნით“

*დედა ტერეზა*

„მშვიდობა ათასობით კილომეტრის სავალი გზაა, ოღონდაც თითო ჯერზე მხოლოდ ერთინაბიჯი უნდა გადაიდგას“

*ლინდონ ჯონსონი*

## „ომის დროს კანონები სდუმს“

*ციცერონი, რომი ძვ. წ. 52 წელი*

eed Evangelischer Entwicklungsdienst

ICCN

TBILISI ZOO

მშვიდობის საერთაშორისო დღე გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1981 წელს დაარსდა. „პატივი მივაგოთ და გავაძლიეროთ იდეები მშვიდობის შესახებ მსოფლიოში“, ეს იყო დღესასწაულის დაარსების იდეა და მიზანი. ოცი წლის შემდეგ კი, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია და ამით გამოაცხადა 21 სექტემბერი, როგორც ყოველწლიური დღესასწაული „გლობალური ცეცხლის შეწყვეტისა და არაძალადობისათვის“.

მშვიდობის საერთაშორისო დღის საბოლოო აღიარება ბრიტანელი მსახიობისა და რეჟისორის ჯერემი გილეს დამსახურებაა, მისი პროექტი „ერთ დღესაც იქნება მშვიდობა“, ამ ფილმში ასახულია რეჟისორის მოგზაურობა და მისი შეხვედრები ადამიანებთან რომელთაც უნდათ მშვიდობა, რადგან მათ საკუთარ თავზე გამოსცადეს ომის საშინელება.

მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობისათვის ბრძოლაში მრავალი ძალისხმევა ჩაიდო, დღეს მსოფლიოში მრავალი ცხელი წერტილია, დედამიწის მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს შეიარაღებული დაპირისპირება. და მთავარ მოწოდებად კვლავ რჩება მშვიდობა და არაძალადობა

წელს გაეროს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის შექმნის 60 წლის იუბილეა. მშვიდობასა და ადამიანის უფლებებს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. მშვიდობის კონცეფცია 21-ე საუკუნეში კიდევ უფრო გაფართოვდა - ცეცხლის შეწყვეტას და არაძალადობას დღეს ადამიანის უფლებების დაცვისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის მოწოდებაც დაემატა.

2009 წლის გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ მიმართვაში, რომელიც მშვიდობის საერთაშორისო დღემდე 100 დღით ადრე ქვეყნდება, ახალი მოწოდება გაისმა: **ჩვენ უნდა განვიარაღდეთ!** ეს მოწოდება ატომური განიარაღებისა და ატომური იარაღის გაუვრცელებლობის საკითხს ეხება.
„მშვიდობის საერთაშორისო დღე, რომელიც ყოველი წლის 21 სექტემბერს
აღინიშნება, წარმოადგენს გლობალურ მოწოდებას, რომ შეწყდეს ცეცხლი და ძალადობა. ეს არის დრო, როდესაც ადამიანები უნდა დაფიქრდნენ ომის საშინელებებზე და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის აუცილებლობაზე“

*გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი*

მშვიდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები 21 სექტემბერს მთელ მსოფლიოში ტარდება. ყველა ქვეყანაში ეწყობა სხვა და სხვა აქცია და მსვლელობა, ხელისუფლება, საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები მოსახლეობასთან ერთად აღნიშნავენ მშვიდობის საერთაშორისოდღეს.

მშვიდობა მუდამ იყო ფიქრისა და განსჯის საგანი. ცნობილი ადამიანები ომისა და მშვიდობის არსის, მშვიდობის მიღწევის გზების შესახებ უძველესი დროიდან ფიქრობდნენ.

## საქართველო და მშვიდობის საერთაშორისო დღე

21 სექტემბერს საქართველო დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად აღნიშნავს მშვიდობის საერთაშორისო დღეს. მშვიდობის მნიშვნელობა შარშანდელი აგვისტოს შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოსათვის.

საქართველოში მშვიდობისათვის უმთავრესი მოწოდებებია: მშვიდობა, არაძალადობა, თავისუფლება და თანამშრომლობა.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) დღიდან დაარსებისა მშვიდობის აქტიური მხარდამჭერი და გამავრცელებელია საქართველოში. კონფლიქტების მოგვარება და მშვიდობის მშენებლობა ICCN სტრატეგიის ძირითადი ხაზია ტოლერანტული გარემოს შექმნასთან ერთად. ტოლერანტობა, როგორც ღირებულება, ქმედება, იდეა მშვიდობის ნაწილს წარმოადგენს. ჩვენი პროგრამები და საქმიანობა სწორედ მშვიდობის ამგვარ კომპლექსურ კონცეფციაზეა აგებული, რომელსაც პოზიციური მშვიდობა ეწოდება.